ბრძანება

20 თებერვალი 2020 წ. თბილისი № 37/01

2019/2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობის ორგანიზაციულ–სამართლებრივი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე–14 მუხლის, სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის #1.1/18 12.02.2020წ ბრძანების შესაბამისად, 2019–2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობის ორგანიზაციულ–სამართლებრივი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. 2019–2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობა განხორციელდეს დადგენილი წესით რეგისტრირებულ და გამოქვეყნებულ ვაკანტურ ადგილებზე:

1) დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამა (ერთსაფეხურიანი სამედიცინო განათლება) - 100 ადგილი

II. გადმოყვანის წესით ჩარიცხვის მსურველმა თსსუ-ის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში **2020 წლის 5 მარტის ჩათვლით** უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. განცხადება უნივერსიტეტში ჩარიცხვის თაობაზე;
2. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამ დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
3. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ვაჟებისათვის);
4. 4 ფერადი ფოტოსურათი (3X4, ელექტრონული ვერსიაც);
4. პირადობის მოწმობის ასლი;
5. სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
6. ცნობა შეფასებისა და საგამოცდო ეროვნული ცენტრიდან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შეფასებების შესახებ.

III. მობილობის წესით გადმომსვლელ სტუდენტებს ჩარიცხვის წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული უნდა ჰქონდეთ, შესაბამის წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი შესაბამისი საგანამანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული საგნები და თითოეულ მათგანში გადალახული უნდა ჰქონდეთ საბჭოს მიერ დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

IV. სტუდენტთა გადმოყვანის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტი სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას გადაეცემა კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გადმოყვანის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის თაობაზე კომისიის დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში.

V. სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დადებითი დასკვნის, თსსუ-ის მიერ დადგენილი სწავლის საფასურის გადახდისა და სტუდენტის პირადი საქმის წარმოდგენის საფუძვლებზე, თსსუ-ის რექტორი გამოსცემს "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გადმოყვანის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის თაობაზე" ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც გამოცემიდან 3 დღის ვადაში იგზავნება სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და შესაბამისი სტუდენტის მობილობა აისახება რეესტრში.

VI. დაევალოს საქმისწარმოების სამსახურს (ნ. ჩიხრაძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის თვალსაჩინო ადგილას.

VII. დაევალოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამსახურს (გ. ჭიჭინაძე) წინამდებარე ბრძანების განთავსება თსსუ-ის ვებგვერდზე.

VIII. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

IX. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია
რექტორი